სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/09

ქ. თბილისი 15 იანვარი 2020

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათისა და სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 13 იანვრის №46 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განათლების მიმართულების პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით მოწვეულ იქნენ: ნინო ელბაქიძე – ასოც. პროფესორის თანამდებობაზე, 335-საათიანი დატვირთვით, კახაბერ ერაძე – პროფესორის თანამდებობაზე, 335-საათიანი დატვირთვით, მალხაზ შურღულაია – პროფესორის თანამდებობაზე, 335-საათიანი დატვირთვით 2020 წლის 1-ელი თებერვლიდან და პროგრამაზე მუშაობა ჩაეთვალოთ აკადემიურ დატვირთვაში;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე